საქართველოს ბანკი
ბიზნესი

მომხმარებლის დამატება და უფლებების მართვა ბიზნეს ინტერნეტბანკში

ტერმინების განმარტება

სუპერადმინი – კომპანიის უფლებამოსილი პირი (როგორც წესი, დირექტორი), რომელსაც აქვს ოპერაციების დამოუკიდებლად წარმოებისა და სხვა მომხმარებლის მოწვევის უფლებები სხვადასხვა ოპერაციის შესრულებისთვის

მომხმარებელი – ბიზნეს ინტერნეტბანკის მომხმარებელი, რომელიც სარგებლობს ინტერნეტბანკში მისთვის წინასწარგანსაზღვრული უფლებებით. უფლებების განსაზღვრა შესაძლებელია ინტერნეტბანკში ან ფილიალში სუპერადმინის მიერ

უფლება – უფლების საშუალებით მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს შეასრულოს ესა თუ ის ოპერაცია. უფლება შეიძლება მოიცავდეს როგორც ანგარიშებზე ნაშთის ნახვას, ასევე გადარიცხვის დოკუმენტის შექმნას ან ამ გადარიცხვის დოკუმენტის ხელმოწერას (იგივე – გადარიცხვის საბოლოოდ შესრულება). უფლების მინიჭება შეუძლია სუპერადმინს ინტერნეტბანკში ან ფილიალში

როლი – მომხმარებლის უფლებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს, რა ოპერაციის შესრულება შეუძლია მომხმარებელს ბიზნეს ინტერნეტბანკში, სადაც დღეს სულ 3 როლია: „ყველაფრის უფლებით“, „შექმნის უფლებითა“ და „დათვალიერების უფლებით“. შემოთავაზებული როლის გარდა სუპერადმინს საკუთარი შეხედულებისა თუ საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლია შექმნას ახალი, განსხვავებული როლი, დაარქვას სახელი, მაგალითად, „ჯუნიორ ბუღალტერი“, ამ როლის ქვეშ გააერთიანოს სასურველი უფლებები, შემდეგ კი კონკრეტულ თანამშრომლებს მიანიჭოს როლი

როგორ მოხვდეთ მომხმარებლის უფლებების მართვის მოდულში?

ინტერნეტბანკში ავტორიზაციის გავლის შემდეგ „კომპანიის შეცვლის“ მენიუში აირჩიეთ ქვეპუნქტი „მომხმარებლის უფლებები“, რომელზე დაჭერითაც სუპერადმინი მოხვდება მომხმარებლის მართვის გვერდზე



როგორ დაამატოთ მომხმარებელი

პირველ რიგში, უნდა განსაზღვროთ, რა უფლებებით / როლით გინდათ მოიწვიოთ მომხმარებელი:

ყველაფრის უფლებით – ასეთი როლის მომხმარებელს ყველანაირი ოპერაციის შესრულება შეუძლია, მათ შორის, გადარიცხვების, დოკუმენტებზე ხელმოწერის, ნაშთის ამოღების, პროდუქტების / სერვისების შეკვეთის და სხვ. ის დამოუკიდებლად განკარგავს ანგარიშებს და მის მიერ შესრულებულ ოპერაციებს სხვა მომხმარებლის დამოწმება არ სჭირდება

შექმნის უფლებით – ასეთი როლის მომხმარებელს შეუძლია შექმნას გადარიცხვის დოკუმენტები, შეუკვეთოს სახელფასო ბარათები, ნახოს ნაშთი და ამონაწერი, მაგრამ მის მიერ შექმნილ დოკუმენტებს საბოლოოდ სხვა, უფრო მეტი უფლების მქონე მომხმარებლის დასტური სჭირდება (ყველა უფლების მქონე მომხმარებლის ან სუპერადმინის)

დათვალიერების უფლებით – ასეთი როლის მომხმარებელს მხოლოდ დოკუმენტების დათვალიერება შეუძლია და წვდომა აქვს ამონაწერთან, ნახულობს ნაშთებს, ეცნობა პროდუქტის დეტალებს, ბეჭდავს ცნობას ანგარიშიდან და სხვ. დათვალიერების უფლების მქონე მომხმარებელი გადარიცხვის დოკუმენტს ვერ შექმნის

განვიხილოთ თითოეული როლისთვის მომხმარებლის მოწვევის პროცესი



მომხმარებლის მოწვევა „ყველაფრის უფლებით“

1 მომხმარებლის მართვის მთავარ გვერდზე აირჩიეთ როლი „ყველაფრის უფლებით“, გამოიყენეთ + ღილაკი ან დააჭირეთ მთლიან ბლოკს



2 გახსნილ ფანჯარაში მითითებული როლი შევსებული დაგხვდებათ, ამ შემთხვევაში „ყველაფრის უფლებით“

მიუთითეთ იმ მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია, ვისი მოწვევაც გსურთ. გაითვალისწინეთ, ყველა ველის შევსება სავალდებულოა



3 თუ გსურთ, თქვენ მიერ დამატებულ მომხმარებელს ბიზნეს ინტერნეტბანკში უფლებები გარკვეული დროის განმავლობაში ჰქონდეს გაწერილი, მონიშნეთ „ვადით“ და მიუთითეთ ვადის ამოწურვის თარიღი



მომხმარებლის მოწვევა „შექმნის უფლებით“

1 მომხმარებლის მართვის მთავარ გვერდზე აირჩიეთ როლი „შექმნის უფლებით“, გამოიყენეთ + ღილაკი ან დააჭირეთ მთლიან ბლოკს



2 გახსნილ ფანჯარაში მითითებული როლი შევსებული დაგხვდებათ, ამ შემთხვევაში „შექმნის უფლებით“

შეავსეთ იმ მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია, ვისი მოწვევაც გსურთ. გაითვალისწინეთ, ყველა ველის შევსება სავალდებულოა



3 თუ გსურთ, თქვენ მიერ დამატებულ მომხმარებელს ბიზნეს ინტერნეტბანკში უფლებები გარკვეული დროის განმავლობაში ჰქონდეს გაწერილი, მონიშნეთ „ვადით“ და მიუთითეთ ვადის ამოწურვის თარიღი



მომხმარებლის მოწვევა „დათვალიერების უფლებით“

1 მომხმარებლის მართვის მთავარ გვერდზე აირჩიეთ როლი „დათვალიერების უფლებით“, გამოიყენეთ + ღილაკი ან დააჭირეთ მთლიან ბლოკს



2 გახსნილ ფანჯარაში მითითებული როლი შევსებული დაგხვდებათ, ამ შემთხვევაში „დათვალიერების უფლებით“. შეავსეთ იმ მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია, ვისი მოწვევაც გსურთ. გაითვალისწინეთ, ყველა ველის შევსება სავალდებულოა



3 თუ გსურთ, თქვენ მიერ დამატებულ მომხმარებელს ბიზნეს ინტერნეტბანკში უფლებები გარკვეული დროის განმავლობაში ჰქონდეს გაწერილი, მონიშნეთ „ვადით“ და მიუთითეთ ვადის ამოწურვის თარიღი



მომხმარებლის დამატება როლის გარეშე

1

თუ არ გსურთ მომხმარებელს რაიმე უფლება ჰქონდეს ინტერნეტბანკში ან შემოთავაზებული როლებისგან განსხვავებული, სპეციფიკური უფლებები გინდათ გაუწეროთ, მაგალითად, წვდომა მისცეთ მხოლოდ კონკრეტულ ოპერაციებზე ან მხოლოდ ერთი ანგარიში გახადოთ მისთვის ხელმისაწვდომი, დააჭირეთ + ღილაკს ბლოკზე – „მომხმარებლის დამატება როლის გარეშე“



2



მიუთითეთ იმ მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია, ვისი მოწვევაც გსურთ. გაითვალისწინეთ, ყველა ველის შევსება სავალდებულოა



3

თუ გსურთ, თქვენ მიერ დამატებულ მომხმარებელს ბიზნეს ინტერნეტბანკში უფლებები გარკვეული დროის განმავლობაში ჰქონდეს გაწერილი, მონიშნეთ „ვადით“ და მიუთითეთ ვადის ამოწურვის თარიღი

როლის გარეშე დამატებული მომხმარებლისთვის უფლებების გაწერა



თუ თქვენ სუპერადმინის როლი გაქვთ, „მომხმარებლის უფლებიდან“ გადასვლის შემთხვევაში გამოგიჩნდებათ როგორც ბანკის მიერ შეთავაზებული როლები მომხმარებლის მოსაწვევად, ისე თქვენ მიერ უკვე დამატებული მომხმარებლების ჩამონათვალი

მოძებნეთ ჩამონათვალში სასურველი მომხმარებელი და სამი წერტილიდან აირჩიეთ „დეტალები“

შეგიძლიათ ჩამოთვლილი უფლებებიდან აირჩიოთ თქვენთვის სასურველი უფლება და დააჭიროთ „დამახსოვრებას“



არსებული მომხმარებლების როლის შეცვლა

1 მომხმარებლების ჩამონათვალში შეგიძლიათ მონიშნოთ ერთი ან რამდენიმე მომხმარებელი და დააჭიროთ ღილაკს – როლის შეცვლა



2 გამოჩნდება პატარა ფანჯარა, სადაც აირჩევთ თქვენთვის სასურველ როლს და შეცვლის ღილაკზე დაჭერით დაიმახსოვრებთ ცვლილებას



იმავენაირად არის შესაძლებელი ერთი ან რამდენიმე მომხმარებლის წაშლა ან დეაქტივაცია

არსებული მომხმარებლების უფლებების შეცვლა



თუ თქვენ სუპერადმინის როლი გაქვთ, „მომხმარებლის უფლებიდან“ გადასვლის შემთხვევაში გამოგიჩნდებათ როგორც ბანკის მიერ შეთავაზებული როლები მომხმარებლის მოსაწვევად, ისე თქვენ მიერ უკვე დამატებული მომხმარებლების ჩამონათვალი

სასურველ მომხმარებლებზე დაჭერით შეგიძლიათ გადახვიდეთ მათი უფლებების დეტალებზე და დაათვალიეროთ, რა უფლება აქვთ ჩართული

მომხმარებლის მოწვევისას გაითვალისწინეთ

მომხმარებლის მოწვევის შემდეგ სუპერადმინს და თავად მომხმარებელს (სუპერადმინის მიერ მოწვევის დროს მითითებულ მეილზე) მიუვათ შეტყობინებები მოწვევის შესახებ

თუ თქვენ მოიწვიეთ მომხმარებელი, რომელსაც ჰქონდა ფიზიკური პირის ინტერნეტბანკის მომხმარებლის სახელი და პაროლი, ასეთი მომხმარებელი საკუთარი მონაცემებით შეძლებს ბიზნეს ინტერნეტბანკში ავტორიზაციის გავლას

თუ თქვენ ბიზნეს ინტერნეტბანკში მოიწვიეთ ისეთი მომხმარებელი, რომელსაც ფიზიკური პირის ინტერნეტბანკის სახელი და პაროლი არ ჰქონდა, მოწვევის პროცესში მასთან გაიგზავნება სპეციალური ბმული, რომლის მეშვეობითაც ამ მომხმარებელმა უნდა დაირეგისტრიროს მომხმარებლის სახელი და პაროლი და შემდეგ შეძლებს ბიზნეს ინტერნეტბანკში ავტორიზაციის გავლასა და თქვენ მიერ გაწერილი უფლებებით სარგებლობას

გაითვალისწინეთ, თქვენ მიერ მოწვეული მომხმარებელი უნდა იყოს სრულწლოვანი და მისთვის გაწერილი უფლებების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სუპერადმინის უფლებების ვადას


საქართველოს ბანკი
ბიზნესი